3326/3-77/22 2 12042022

3326/3-77/22
12-04-2022

საქართველოს ეროვნულ ბანკს

მოგესალმებით,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი ნაწილისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, გთხოვთ, მომაწოდოთ ინფორმაცია:

იპოთეკით დაცული ობლიგაციების შესახებ კანონპროექტის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვროს დამატებითი მოთხოვნები შემფასებლის საქმიანობასთან დაკავშირებით, ასევე დააწესოს საბაზრო ღირებულების დაანგარიშების მეთოდი სხვადასხვა სახის უძრავი ქონებისთვის.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, კონკრეტულად რა გამონაკლის შემთხვევებში არის შესაძლებელი, დადგეს საბაზრო ღირებულების დაანგარიშების საერთაშორისო სტანდარტებიდან გადახვევის აუცილებლობა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საბაზრო ღირებულების დაანგარიშების ალტერნატიული მეთოდის დაწესების საჭიროება.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ალექსანდრე რაქვიაშვილი